საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/ 43

ქ. ბათუმი **06 აგვისტო, 2021 წ.**

,,ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 24-ე მუხლების, წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის N07-01/37 გადაწყვეტილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N10 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების N1 დანართის (დებულების) **მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. **დეპარტამენტის ფუნქციებია:**

ა) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების

პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება ან/და რედაქტირება/შეთანხმება;

გ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების კოდიფიცირება და უნივერსიტეტის მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

დ) უნივერსიტეტში გასაფორმებელი სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და შეთანხმებების სამართლებრივი ექსპერტიზა (შეთანხმება/ვიზირება);

ე) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო დავებზე უნივერსიტეტის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

ზ) უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების დებულებების და პერსონალის ფუნქციათა აღწერილობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან (საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია)) ერთად მომზადება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა აქტებით განსაზღვრული ფუნქციები.“.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 15 აგვისტოდან.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე, პროფესორი **ემზარ მაკარაძე**